პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 201 (6256)

1978 წ. 12 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ყველასთვის გასაგებ ენაზე

**თბილისის** პადრაკის სასახლეში მუშაობა დაამთავრა დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის საერთაშორისო კონფერენციამ, რომლის მონაწილენი განიხილავდნენ თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას — ქალაქებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ბ. ლობჟანიძემ** კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება „სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი სსრ კავშირის ქალაქებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში".

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის მისალმება საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებისადმი შეკრებილთ გააცნო საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ.**

კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა იმით, რომ ფიზკულტურისა და სპორტის ყოველმხრივი განვითარების თაობაზე მიიღო რეზოლუცია. კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს დოკუმენტი, რომელიც ქალაქების მუნიციპალურ ხელისუფლებს მოუწოდებს იბრძოლონ იმისთვის, რომ მათმა მთავრობებმა გაადიდონ ფიზკულტურისა და სპორტის ასიგნობანი.

კონფერენციის დასკვნით დღეს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო სამმართველოს უფროსმა **ვ. პროკოპოვმა** გააკეთა ინფორმაცია საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაზე.

კონფერენციამ მიიღო მეორე რეზოლუციაც, რომელიც მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ქალაქს ა. წ. დეკემბერში ზეიმით აღნიშნონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების 30 წლის იუბილე.

დასკვნით სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა დელეგატმა **ჟ.-მ. ბრესანმა,** რომელმაც დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის აქტიური მხარდაჭერისთვის ამ ფედერაციის ოქროს მედლით დააჯილდოვა თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე.

ვიტყობინებოდით, რომ კონფერენციის მონაწილეები სხდომებიდან თავისუფალ დროს ეცნობოდნენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ წარსულს, დაათვალიერეს სპორტული ბაზები, იყვნენ ახალ ველოტრეკზე, „დინამოს" სტადიონზე, სპორტის სასახლეში, საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსზე, გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი გმარჯვების პარკში.

ცენტრალურ ველოდრომზე სტუმრებს შეეგებნენ ამ ბაზის დირექტორი ვ. ზარკალაია და სპრინტში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე, რომელიც საქართველოს ნაკრებ გუნდს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის ამზადებს. აქ სტუმრები გაეცნენ ველოსიპედისტთა სასწავლო-სპორტულ მუშაობას. თბილისელმა ველოსიპედისტებმა კონფერენციის მონაწილეების პატივსაცემად გამართეს საჩვენებელი გამოსვლები.

შემდეგ ჩვენი დედაქალაქის სტუმრები ეწვივნენ სპორტის სასახლეს, სადაც მეგზურობა ამ სასახლის დირექტორმა გ. შიოშვილმა იკისრა. სტუმრობის დროს დარბაზში მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები გადიოდნენ წვრთნას, რომლებმაც კონფერენციის მონაწილეებს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე მოსულ დამმობილებული ქალაქების წარმომადგენელთა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრეს, რომ ამ ბაზაზე ერთდროულად სპორტის 14 სახეობაში შეიძლება ვარჯიში. სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ ბაზის გრანდიოზულობით, მისი არქიტექტურით. სპორტკომბინატის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ სტუმრებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

ყველგან, სადაც კი კონფერენციის მონაწილენი იყვნენ, გულითადი საუბრები იმართებოდა ქალაქებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე.

გუშინ კონფერენციის მონაწილენი თელავს გაემგზავრნენ.

* * *







**სურათებზე:** კონფერენციის მონაწილეები „დინამოს" სტადიონზე; მათ აქ დაათვალიერეს მისი დარბაზები, სექტორები, ტრიბუნები, კომენტატორების ჯიხურები და სარბენი ბილიკებიც კი მოსინჯეს. ამ ფოტოებზე სწორედ ეს მომენტებია აღბეჭდილი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

# პირველად სახლმმართველობებს შორის

**თბილისის** დოსაafის საქალაქო კომიტეტმა საქალაქო სპორტკომიტეტის ტყვიის სროლის ფედერაციასთან ერთად ჩაატარა სახლმმართველობებთან არსებული გუნდების შეჯიბრება ტყვიის სროლაში.

ასპარეზობამ, რომელიც ორ ეტაპად გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია. სულ ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 554 კაცი.

მაღალი შედეგები აჩვენეს ტ. ბებურიშვილმა, გ. გალოგრემ (№ 80 სახლმმართველობა), გ. ეფიმენკომ, ს. ასლანიანმა, ე. ბერეჟნოიმ (№ 54 სახლმმართველობა).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა კიროვის რაიონის № 54 სახლმმართველობის გუნდმა (უფროსი ა. ქიზიყურაშვილი).

მეორე ადგილზე გავიდა ორჯონიკიძის რაიონის № 80 სახლმმართველობის ნაკრები (უფროსი მ. ჩინჩალაძე).

მესამე ადგილი დაიკავეს პირველი მაისის რაიონის № 23 სახლმმართველობის მსროლელებმა (უფროსი ა. მითიაშვილი).

გამარჯვებულთ გადაეცათ სპორტკომიტეტისა და დოსააფის საქალაქო კომიტეტის სიგელები და დიპლომები.

**გ. შვანგირაძე,**
**დოსააფის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე.**

# იუბილეს მიეძღვნა

**ნორჩ** ფეხბურთელთა რესპუბლიკური გათამაშება „სიქაბუკის თასზე", რომელსაც ერთობლივად ატარებენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სპორტკომიტეტი, დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც თვით ფეხბურთელებს, ისე მაყურებელთა შორისაც. წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც 15 ოქტომბერს იწყება, მონაწილეობას მიიღებენ 1963-64 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ეს ღონისძიება ემთხვევა ლენინური კომკავშირის იუბილეს — 60 წლისთავს და სწორედ მას ეძღვნება.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში დროულად და პასუხისმგებლობის გრძნობით მიუდგნენ ნორჩ ფეხბურთელთა ამ შეჯიბრებას, მაგრამ არის ადგილებიც, საიდანაც გათამაშების ორგანიზატორებს ჯერ არ მიუღიათ განაცხადები. ასეთთა შორის არიან ზუგდიდის, ტყიბულის, ფოთის, გორის, ჭიათურის, ქუთაისის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, თერჯოლის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, მარნეულის, დმანისის, ბოლნისის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, გურჯაანის, წითელი წყაროს, კასპის, დუშეთის, თიანეთის, ხაშურის სპორტული ორგანიზაციები. საინტერესოა, რას ფიქრობენ ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებსა და რაიონებში, რატომ უსპობენ თავიანთ ნორჩ ფეხბურთელებს ასეთ სასარგებლო შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალებას? ეგებ არაა, იქ საკმარისი პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებსაც შეეძლოთ თავიანთი შესაძლებლობათა გამოვლენა.

შეჯიბრება ჩატარდება ზონებად, წრიული სისტემით. იგი უნდა იქცეს ახალგაზრდა ფეხბურთელების ნამდვილ დღესასწაულად.

**ი. გოცირიძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# თასი დაისაკუთრეს

ჩოგბურთი

**დუშანბეში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის და მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები. დიდი წარმატება მოიპოვეს საქართველოს წარგზავნილებმა, რომლებმაც ვაჟთა ფინალურ შეხვედრაში სძლიეს (3:2) უკრაინის კოლექტივს და დაისაკუთრეს საპატიო ჯილდო.

ნახევარფინალში ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელებმა „მშრალი" ანგარიშით — 5:0 მოუგეს ამ ჯილდოს შარშანდელ მფლობელს, მოსკოვის ნაკრებს. ა. მეტრეველმა დაამარცხა ვ. ბორისოვი — 6:2, 6:4, 6:0, თ. კაკულიამ — კ. პუგაევი — 6:3, 7:6, 4:6, 5:7, 6:0, გ. ელერდაშვილმა — ა. ვოლკოვი — 6:3, 6:1, 7:6, ვ. პერუგოდავმა — ე. პოზდნიაკოვი — 6:1, 6:1, 6:3. მანამდე საქართველოს გუნდმა სძლია რსფსრ-სა (3:2) და ლენინგრადის (3:1) ნაკრებ კოლექტივებს.

# ტურიზმის პოპულარიზაციისთვის

**10 ოქტომბერს** თბილისში მუშაობა დაიწყო სოციალისტური ქვეყნების ტურიზმის სამთავრობო ორგანოების თათბირის პროპაგანდისა და ინფორმაციის კომისიის მეათე საიუბილეო სხდომამ. ცხრა სახელმწიფოს — ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები განიხილავენ ტურისტულ-სარეკლამო საქმიანობის კოორდინაციის საკითხებს, კომისიის მუშაობის 1981-85 წლების გეგმასა და სხვ. ისინი განიხილავენ, აგრეთვე, იმ საკითხს, თუ როგორ სრულდება მოსკოვის ოლიმპიურ ასპარეზობათა პროპაგანდის გეგმა.

სხდომის გახსნას დაესწრნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. ხინთბა.

კომისიის სხდომა სამ დღეს გასტანს. (საქინფორმი).

# ორი რესპუბლიკური...

ვიტყობინებოდით, რომ ორჯონიკიძეში „სპარტაკის" სტადიონზე გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო ტურნირი მძლეოსნობაში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე.

ამ ასპარეზობაში თბილისელმა გოგონებმა მ. აზარაშვილმა და ლ. წინწალაშვილმა ორი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს. მ. აზარაშვილმა 200 მეტრზე ასპარეზობაში 24,8 წამი აჩვენა (გოგონების რეკორდი), ხოლო ლ. წინწალაშვილმა 800 მეტრზე შეჯიბრებაში საქართველოს ქალების აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 2.11,0. ძველი რეკორდიც მასვე ეკუთვნოდა და 2.12,8-ს უდრიდა.

აღსანიშნავია, რომ ორივე სპორტსმენს გ. გოზალიშვილი ავარჯიშებს.

## ჟამი ფიქრისა და განსჯისა

# 2. არ უშლის ხმალსა სიმოკლე...

ნათქვამია, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო. მაშ, ცუდი დასაწყისი რაღაა? გაწბილებული იმედი. გაფუჭებული განწყობილება, შელახული რეპუტაცია. არა, ასეთ დროს ხელის ჩაქნევა და ნაადრევი პესიმიზმი ვერაფერი მოკავშირეა, მაგრამ, ჩვეულებრივ, უღიმღამო სტარტის შემდეგ დიდებულ ფინიშზე ოცნება ხშირად ოცნებადვე რჩება.

რაც მართალია, მართალია: დასაწყისისგან დიდს არაფერს ველოდით, მაგრამ იმის იმედი კი ნამდვილად გვქონდა, რომ ჩვენი მოცურავეები საშუალო შედეგებს მაინც აჩვენებდნენ და უშუალო კონკურენტებს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. 68 გოგონა და ჭაბუკი გამოვიდა სტარტზე, ფინალში მონაწილეობის უფლება კი მხოლოდ ერთმა — მახინჯაურელმა მოსწავლემ ნიკოლოზ მოროზოვმა მოიპოვა. ცხადია, გუნდური შედეგიც შესაბამისად დაბალია — 243,5 ქულა, XI ადგილი. ერთ-ერთ ჩვენს მწვრთნელს უნებლიედ წამოცდა: კიდევ კარგი, უარესი რომ არ მოხდაო. ამაზე უარესი რაღა იქნება — წინა სპარტაკიადაზე X ადგილი გვქონდა, ახლა — XI. როგორც ჩანს, სხვები წინ მიდიან, შრომობენ, ოფლს ღვრიან, წვრთნა-ვარჯიშის ახალ, უფრო პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს ეძებენ, ჩვენ კი ერთ ადგილს ვტკეპნით. არადა, ცხადია, რომ დღევანდელ სპორტულ სამყაროში ყურადღების უმნიშვნელო მოდუნებაც კი ფაქტიურად უკანსვლას ნიშნავს. ჩვენც უკან მივდივართ, ახალ სიმაღლეებს უნდა ვიპყრობდეთ და, ქვევით ვეშვებით.

ერთი სიტყვით, საქართველოში ცურვა გვარიანად ჩამორჩა. მიზეზი? მწვრთნელებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ და თუ მაინც რაიმეს აღნიშნავენ, ეს, პირველ რიგში, ბაზებისა და სპორტული სექციების უკმარობაა. მომიტევონ პირდაპირობისთვის, მაგრამ ამ პლანში საუბარი თავის მართლების „მოდური საბუთების" მოშველიებას უფრო ჰგავს, ვიდრე შექმნილი მდგომარეობის ობიექტურად, პირუთვნელად შეფასების სურვილს. საცურაო აუზების თვალშისაცემი ნაკლებობა მედლის ერთი, საკმაოდ მუქი მხარეა, თუმცა არა იმდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, როგორიცაა თვით მწვრთნელებისა და აღმზრდელების კვალიფიკაცია, პროფესიული ოსტატობის დონე. სპორტული ბაზები ხომ საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ ნაღდი სპეციალისტებიც გვჭირდება, სპეციალისტ-ნოვატორები, ისეთები, ჩემპიონებისა და რეკორდსმენების აღზრდა რომ შეეძლებათ. სხვათა შორის, ჩვენმა ნორჩმა მოცურავეებმა ტაშკენტში რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად სასიამოვნო ფაქტია. სასიამოვნოცაა და ჩამაფიქრებელიც (ვერც ერთი ჩვენი სპორტსმენი სარეკორდო შედეგით ფინალში ვერ მოხვდა), რადგან საჩინოს ხდის, რომ ის ზღვარი, რომელიც ჩვენ დღემდე ვერ დაგვიძლევია, სხვებმა უკვე დიდი ხანია გადალახეს.

ცურვას სპარტაკიადაზე განსაკუთრებული „წონა" აქვს. ცურვასა და მძლეოსნობას. ძირითადად სწორედ სპორტის ამ სახეობებში მოპოვებული მედლები და ქულები წყვეტენ სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ადგილების განაწილების საკითხს. ამ თვალსაზრისით, უკრაინელები ყველაზე წინდახედულნი აღმოჩნდნენ — ისინი უძლიერესნი იყვნენ ცურვაში და მძლეოსნობაშიც, თან საკმაოდ შორს ჩამოიტოვეს ძირითადი კონკურენტები — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები.

ტაშკენტის ცისფერ ბილიკებზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა უხეირო გამოსვლა მწვავე სიგნალია სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის წინ. მით უმეტეს, საბჭოთა სპორტის ამ უდიდეს ფორუმზე მოსწავლეთა XV სპარტაკიადის მონაწილენიც იასპარეზებენ. დარჩენილ დროში ბევრის გამოსწორება შეიძლება. ოპტიმიზმს გვმატებს დიდებული საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი, ამ დღეებში სტალინის სახელობის სანაპიროზე რომ გაიხსნა.

სპორტული შეჯიბრებების ნებისმიერ მონაწილე კოლექტივს თავისი ლოკალური ამოცანები აქვს და ამას შემსრულებელთა პოტენცია და თვით მეტოქეთა მომზადების დონე განსაზღვრავს. საქართველოს წყალში მხტომელთა გუნდი ტაშკენტში მეხუთე ადგილის მოპოვების სურვილით ჩავიდა. მაგრამ, ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო. ნამდვილად ივაჟკაცეს ჩვენმა გოგო-ბიჭებმა და უაღრესად მწვავე კონკურენციის პირობებში მესამე ადგილზე გავიდნენ. ეს წარმატება, რომელიც იოსებ ელბაქიძის ვერცხლის მედალმა უფრო დაამშვენა, მოცურავეთა უხეირო შედეგების ერთგვარი კომპენსაცია იყო.

წყალში მხტომელებს მოფარიკავეებმაც აუბეს მხარი. მართალია, ისინი გუნდურ ჩათვლაში V ადგილზე გავიდნენ, თუმცა ცალკეულ სახეობებში რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს — ვერცხლის მედალს დაეუფლა დაშნითა და რაპირით მოფარიკავე ჭაბუკთა ოთხეული, ხოლო თბილისელმა ვლადიმერ აფციაურმა პირად ჩათვლაში „ბრინჯაო" დაიმსახურა. საერთოდ, მოფარიკავეთა ტურნირმა ცხადყო, რომ ადრე ამ სახეობაში ჩამორჩენილმა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ. აღიარებულ ფავორიტებს ღირსეული კონკურენცია გაუწიეს ყირგიზეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების მუშკეტერებმა. ეს მოვლენა მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა კანონზომიერად ჩათვალეს. ასეა, დღეს მარტო ტრადიციები და წარსულის დიდება გამარჯვების იარაღად ვერ გამოდგება. ქართველ კაცსაც ხომ უთქვამს: „არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ფეხ წადგი წაემატებაო".

სპორტი მუდამ იყო, არის და იქნება ჯანსაღი, ძლიერი და კეთილშობილი ადამიანის აღზრდის საშუალება, ხოლო სპორტული შეჯიბრება — ამ თვისებების გამოვლენის სარბიელი. ჭეშმარიტი აღმზრდელი წმინდა ფიზიკური თვისებების მხარდამხარ მოზარდის ფსიქიკასაც, ნებისყოფასაც უნდა წვრთნიდეს. სხვაგვარად რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრების მწვრთნელები და თვით სპორტსმენები ტაშკენტში გამარჯვების დიდი სურვილით ჩავიდნენ და ამას არც მალავდნენ. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: გუნდმა შესაშური ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინა, ჯერ კიდევ სპარტაკიადამდე ტრიუმფით დაამთავრა რამდენიმე დიდი საკავშირო ტურნირი. და, აი, მოსწავლეთა სპარტაკიადა — ყველაზე საპასუხისმგებლო სტარტი. მოვლენები თითქოს ლოგიკის საწინააღმდეგოდ დატრიალდა: პირველი შეხვედრა — პირველი ფიასკო. ჩვენმა ჭაბუკებმა ვერაფერი გააწყვეს ყაზახეთის არც თუ ისე ძლიერ კოლექტივთან და დამარცხდნენ — 22:30. იგივე განმეორდა აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდებთან შეხვედრებში. ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ აღიარებული ფავორიტი — საქართველოს ნაკრები არა თუ ფინალურ ექვსეულში, VII-XII ადგილებისათვის მებრძოლ კოლექტივთა შორისაც ვერ მოხვდებოდა. რით ავხსნათ ეს? გუნდი, რომელიც საპრიზო ადგილზე აცხადებდა პრეტენზიას (ერთი შეხედვით, არც თუ უსაფუძვლოდ) მთავარი ბრძოლების მიღმა დარჩა და საბოლოოდ მე-13 (?!) ადგილს დასჯერდა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს თავსამტვრევი პრობლემა არ გახლავთ. ისეთი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ჩვენი ხელბურთელები აშკარად არ იყვნენ მზად დიდი გამოცდისთვის. მხედველობაში გვაქვს არა წმინდა ფიზიკური და ტექნიკურ-ტაქტიკური კონდიციები, არამედ ის, რაც უფრო მთავარი და მნიშვნელოვანია ამგვარ ტურნირებში წარმატებისთვის — მყარი სათამაშო დისციპლინა, ნებელობითი მომზადება, კოლექტივიზმი და ერთსულოვნება. მოთამაშეთა შორის განუწყვეტელმა კინკლაობამ, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობამ, რაც საბოლოო ჯამში ნერვიულობასა და უხეშ თამაშში გადაიზარდა, გუნდს მეტად ცუდი სამსახური გაუწია (სხვათა შორის, ჩვენი ხელბურთელების უდისციპლინო და უმგვანო საქციელი „სოვეტსკი სპორტის" მსჯელობის საგანიც კი გახდა).

ერთი სიტყვით, ჭაბუკებმა ვერაფრით გაგვახარეს. თითქოს გოგონების მიერ მოპოვებული მეცხრე ადგილიც საგანგაშოდ უნდა მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტი ფაქტია — ისინი ყოველ შეხვედრას ძალების მაქსიმალური დაძაბვით, შესაშური შემართებითა და პასუხისმგებლობით ატარებდნენ. უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი ბოლომდე გაიღეს და ამ თვალსაზრისით ქებასაც იმსახურებდნენ. სულ სხვა საკითხია, რომ მათს ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში უამრავი წუნი იყო. ეს უკვე მწვრთნელების სინდისზეა.

* * *

სასიამოვნო სიურპრიზი. ასე შეიძლება ეწოდოს ყვარლელი ჭაბუკის ელგუჯა ქორთიევის ბრწყინვალე გამოსვლას „ფახთაქორის" სარბიელზე. მოპოვებულია ოქროს მედალი მძლეოსნობის ისეთ რთულ სახეობაში, როგორიც ათჭიდია, დამყარებულია ახალი საკავშირო მიღწევაც. და ეს გააკეთა სპორტსმენმა, რომელსაც ყველაზე წინდახედული სპეციალისტებიც კი არ თვლიდნენ ანგარიშგასაწევ ძალად. ლევან. ვუგეშაშვილის მოსწავლემ კი გაიმარჯვა. გაიმარჯვა ლაღად და შთამბეჭდავად. იგი ათჭიდის ყველა სახეობაში თანაბრად გამოვიდა, მაგრამ შუბის ტყორცნასა და 1500 მეტრზე რბენაში, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავსაც გადააჭარბა. ამ გამარჯვებამ დიდი იმედი ჩაგვისახა. სხვებმაც გაამართლეს იმედი. საქართველოს მძლეოსნებმა ტაშკენტში ოქროს ერთი, ვერცხლის ოთხი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიპოვეს, თან ოთხი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. არა, მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელებს გუნდრუკას კმევას როდი ვპირდებით. გუნდი საერთო ჩათვლაში X ადგილზე გავიდა და ეს შედეგი, რა თქმა უნდა, არ გვაკმაყოფილებს. მედლების სიბრჭყვიალემ თვალი არ უნდა მოგვჭრას. საქართველოს ნორჩ მძლეოსანთა მომზადებაში ნაკლი ჯერ კიდევ მრავლად შეინიშნება და ეს პირველ რიგში გოგონათა კოლექტივს ეხება. მათი უღიმღამო გამოსვლა რომ არა (მე-14 ადგილი), საერთო გუნდური ადგილი გაცილებით მაღალი იქნებოდა. თავად განსაჯეთ: ჭაბუკებმა 24433 (III ადგილი) ქულა მოაგროვეს, გოგონებმა კი მხოლოდ 13305.

ე. ბერიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ტაშკენტი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

* * *

# სპარტაკიადა დამთავრდა — სპარტაკიადა გრძელდება


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საქართველოს ჭაბუკთა კვარტეტი (მარცხნიდან — ზ. ჯანიშვილი, ვ. ბაკურიძე, გ. ზილფოვი, ვ. ლისაკოვი), რომელმაც 4×100 მეტრზე ესტაფეტაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ა. აზიზოვის ფოტო.

# კომპლექსის დამკვიდრება

მშდ კომპლექსი გაგრის რაიონში მტკიცედ დამკვიდრდა. აქ საქალაქო შეჯიბრებებში გამოსვლის ბევრი მსურველია, ამჯერადაც ასე იყო. წლევანდელ ტურნირში პირველობისთვის იბრძოდნენ ტრესტ „კურორტმშენის", კურორტ „ბიჭვინთის", რუსთაველის სახელობის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, ციტრუსების მეურნეობა „სიხარულის", ალახაძის, ორჯონიკიძის, ხეივნის და სხვა კოლმეურნეობების კოლექტივები.

საერთო გუნდური პირველობა „კურორტმშენის" მშდ კომპლექსის ნიშნოსნებმა მოიგეს, რომლებმაც 482 ქულა მოაგროვეს და „ბიჭვინთის" გუნდი 94 ქულით ჩამოიტოვეს. III ადგილზე აღმოჩნდა „სიხარული".



გაგრაში კომპლექსი რომ უყვართ, იქიდანაც დასტურდება, რომ ამ ქალაქის ნაკრებმა აფხაზეთის პირველობაში II ადგილი მოიპოვა.

გ. დოლენჯაშვილი.

სურათზე: აფხაზეთის ჩემპიონი მეხუთე საფეხურის კომპლექსის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში, გაგრელი ა. მეტრეველი ხელყუმბარის ტყორცნის დროს.

ავტორის ფოტო.

## ✦ ცხინვალი

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში ქსუისის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა მოიგეს. მათ 20 ქულა მოაგროვეს. 18-18 ქულით II და III ადგილები დაიკავეს ძარწემისა და დმენისის კოლმეურნეობების ფეხბურთელებმა. შეჯიბრებაში სულ 12 გუნდი მონაწილეობდა. საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადაეცა ვ. ბესთაევს (დმენისი). ბომბარდირობა — ზ. ჭოველიძეს (ძარწემი), რომელმაც მეტოქეთა კარში 21 გოლი გაიტანა.

ვ. მელქოევი.

**კავშირით სოფლისთვის**

## ✦ აბაშა

კოლორის გზატკეცილზე ჩატარდა რაიონის პირველობაველოსპორტში ვაჟთა შორის. გასავლელი იყო 25 კილომეტრი. ყველას აჯობეს № 84 პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აბაშის საქსოვი ფაბრიკისა და ქოლობნის მეურნეობის სპორტსმენები. პირადი პირველობა მოიგო რ. ჭანტურიამ (პროფტექსასწავლებელი).

რ. ჭანტურია.

# ზონალური პირველობა

ზუგდიდში მოეწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს დასავლეთ საქართველოს ზონალური პირველობა ლელობურთში, რომელშიც 11 რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ტურნირი ჩატარდა 2 ქვეჯგუფად, წრიული სისტემით, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდისა და ჩხოროწყუს გუნდები. გაიმარჯვეს ზუგდიდელებმა — 10:6. დებულების თანახმად ორივე გუნდი ითამაშებს ფინალში, რომელიც ჩოხატაურში გაიმართება.

III ადგილისთვის იბრძოდნენ სამტრედიელი და გეგეჭკორელი ლელობურთელები. გაიმარჯვეს სამტრედიელებმა — 9:6.

ბ. ზიფია.

## ფეხბურთი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

### I ჯგუფი

„ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

მასპინძლებს თავიდანვე ჰქონდათ საგრძნობი უპირატესობა. მათ ანგარიში გახსნეს 11-მეტრიანი დარტყმით (ლაბაძე), შემდეგ კი ლომიძემ მეორედ აიღო „ევრისის“ კარი.

ახკ (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (თბილისი).

არმიელი დაუშვილის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

მახარაძელებმა უკვე მე-2 წუთზე მიაღწიეს წარმატებას და გახსნეს ანგარიში (ხავთასი). შესვენების შემდეგ წონასწორობა აღადგინა გუგუჩიამ, ხოლო ოსტროვსკიმ გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 8:2. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

პირველი ბურთი ჭიათურელთა კარში მე-16 წუთზე გაიტანა ხოხაშვილმა. მცირე ხანში ქელიძემ გაქვითა გოლი, მაგრამ არიშენკომ და გაგნიძემ კვლავ დააწინაურეს „დურუჯი“ — 3:1. 86-ე წუთზე ქელიძემ შეძლო სხვაობის შემცირება ანგარიშში.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

62-ე წუთზე დაწინაურდნენ ტყიბულელები (ისაკაძე). 75-ე წუთზე კვინიკაძემ საპასუხო გოლი გაიტანა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

მატჩის ბედი გადაწყვიტა რუსთაველი არევაძის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა გოლმა.

„სქური“ (წალენჯიხა) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

პირველ ტაიმში წინ იყვნენ წალენჯიხელები, რომელთა მხრივ თავი გამოჩინა მარგველანმა. ეს გოლი 55-ე წუთზე გაქვითა სეროფიანმა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 36 | 23 | 8 | 5 | 77—29 | 54 |
| „მეშახტე“ | 34 | 21 | 9 | 4 | 55—26 | 51 |
| „მეტალ.“ რ. | 34 | 22 | 6 | 6 | 53—24 | 50 |
| „მზიური“ | 35 | 22 | 5 | 8 | 55—30 | 49 |
| „ენერგეტ.“ | 38 | 16 | 10 | 12 | 51—43 | 42 |
| „მერცხალი“ | 32 | 14 | 11 | 7 | 47—28 | 39 |
| „მადარ.“ | 34 | 15 | 9 | 10 | 61—49 | 39 |
| „კოლხეთი“ ხ. | 34 | 13 | 11 | 10 | 34—31 | 37 |
| „ივერია“ | 37 | 14 | 8 | 15 | 31—44 | 36 |
| „სქური“ | 37 | 14 | 7 | 16 | 51—52 | 35 |
| „ამირანი“ | 36 | 14 | 7 | 15 | 32—44 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. | 38 | 15 | 5 | 18 | 45—65 | 35 |
| ახკ თბ. | 31 | 12 | 10 | 9 | 33—28 | 34 |
| „ნადიკვარი“ | 35 | 10 | 13 | 12 | 45—46 | 33 |
| „მეტალ.“ ზ. | 36 | 10 | 12 | 14 | 50—53 | 32 |
| „სპარ.“ თბ. | 34 | 13 | 6 | 15 | 40—45 | 32 |
| პოლ. ინსტ. | 36 | 13 | 4 | 19 | 51—55 | 30 |
| „სპარ.“ ც. | 35 | 10 | 9 | 16 | 50—54 | 29 |
| „ჩიხურა“ | 36 | 10 | 9 | 17 | 48—56 | 29 |
| „სალხინო“ | 33 | 10 | 9 | 14 | 40—55 | 29 |
| „ეგრისი“ | 37 | 9 | 11 | 17 | 29—49 | 29 |
| „დურუჯი“ | 36 | 11 | 4 | 21 | 29—50 | 26 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„იორი“ (თიანეთი) — „გიგანტი“ (გამარჯვება) 7:1, „ცისკარი“ (სილნაღი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 5:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 3:1, „განახლება“ (ადიგენი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 8:0, „სიონი“ (ბოლნისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 4:3, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ფიჩხოვანი“ (ალვანის საბჭოთა მეურნეობა) 2:1.

#### II ზონა

„ავტომობილისტი“ (აბაშა) — „მეშაქრე“ (აგარა) 2:0, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 0:0, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:3, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:0, „ოჯალეში“ (ბანძა) — „სულორი“ (ვანი) 2:3, „გიგანტი“ (ლაითური) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 0:5, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 2:0.

### საჯარიმო [illegible]

რესპუბლიკური გათამაშების მატჩში ახალციხის „მესხეთთან“ უღიერი საქციელით გამოიჩინეს თავი ასპინძის „ვარძიის“ ფეხბურთელებმა. მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან იქნა გაძევებული პ. ფოცხვერაშვილი, ხოლო ა. ხაჩატუროვს, გ. მელიქიძეს და ვ. კობერიძეს მიეცათ გაფრთხილებები.

გაფრთხილებული არიან, აგრეთვე, ა. არევაძე („მეტალურგი“, რუსთავი), მ. ჯანელიძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), გ. კვარაცხელია („იმერეთი“, წულუკიძე), გ. ქიქავა და მ. ცაგარელი („ავტომობილისტი“, ბათუმი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

* * *

შენიშვნა: ყველა გუნდს, რომლებსაც დარჩენილი ჰქონდათ მატჩები შეჯიბრებიდან გამოთიშული ქარელის „იბერიასთან“, ჩაეთვალათ მოგებები.

## მეორე ლიგა

9 ოქტომბერს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების 2 მატჩი: ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 3:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 2:0.

ბაქოს „ავტომობილისტისა“ და ლენინაკანის „შირაკის“ შეხვედრა, რომელიც ბაქოში შედგა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

## ჩემპიონატები, [illegible]

### პოლონეთი

VIII ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ლოძის გუნდების „ვიძევისა“ (გათამაშების ლიდერი) და ლკს-ს შეხვედრამ. თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 42-ე წუთზე გაიტანა „ვიძევის“ თავდამსხმელმა პიენტამ. ამრიგად, „ვიძევი“ კვლავ ლიდერობს 15 ქულით. მას 2 ქულით ჩამორჩება ვარშავის „ლეგია“, რომელმაც ანგარიშით 3:1 დაამარცხა პოზნანის „ლეხი“. ჩემპიონმა — კრაკოვის „ვისლამ“ 8 ტურის შემდეგ 9 ქულა მოაგროვა და ჯერჯერობით VI ადგილზეა. ბოლო შეხვედრაში მან ანგარიშით 4:0 გაიმარჯვა შჩეცინის „პოგონთან“.

### უნგრეთი

IV ტურში ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ ერთმანეთს შეხვდა დედაქალაქის გუნდების 2 წყვილი: მტკ — „ჰონვედი“ და „ფერენცვაროში“ — „ვაშაში“.

როგორც უნგრელი ჟურნალისტი ვადი წერს, წლეულს არმიელთა გუნდის „ჰონვედის“ თამაში დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. მან დაამარცხა მტკ, „ფერენცვაროშმა“ კი ანგარიშით 3:0 სძლია „ვაშაშს“. „დოჟა-უიპეშტმა“ (ბუდაპეშტი) კიდევ ერთი ქულა დაკარგა გასვლით მატჩში „დიოშდიერთან“ — 0:0.

4 ტურის შემდეგ „ჰონვედს“ 8 ქულა აქვს, „ფერენცვაროშს“ — 7, „ვიდეოტონს“ — 6.

### ბულგარეთი

V ტურში სოფიის „სლავიამ“ ტუშმრად წააგო სტარა ზაგორას „ბეროესთან“ — 2:3. ჩემპიონმა — სოფიის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მინდორზე ვერაფერი დააკლო „სლივენს“ — 0:0, მაგრამ ამ 1 ქულითაც წამოეწია ლიდერს. ახლა „სლავიასა“ და „ლოკომოტივს“ 7-7 ქულა აქვთ.

### საბერძნეთი

II ტურის ცენტრალური შეხვედრა ათენში ადგილობრივ აეკ-სა და სალონიკის პაოკ-ს შორის დასრულდა აეკ-ის გამარჯვებით — 3:2. ახლა 4-4 ქულა აქვს 4 გუნდს: ათენის „ეთნიკოსს“, აეკ-ს, პირეოსის „ოლიმპიაკოსსა“ და სალონიკის „არისს“.

# სუპერვარსკვლავი

ედგარ ჩეპოროვი

მავთულხლართებით შემოვლებულ ბელფასტის აეროპორტს გამოვცდით. მანქანის კარს რომ ვაღებდი, შოფერმა აღგზნებულმა მკითხა: „დაინახეთ ჯორჯი? ახლახან ჩამოვიდა ლონდონიდან. ჩვენს ნაკრებში ითამაშებს“. მერე მიმატოვა და შავქოჩრიან კაცს შემორტყმული ხალხისკენ გაიქცა. ვიცანი. ეს იყო ჯორჯ ბესტი, ფეხბურთის „ვარსკვლავი“. მანქანაში შოფერი იმეორებდა: „ყველაფერი კარგად იქნება, ჯორჯი თავის გოლს გაიტანს“.

ბესტი. სახელგანთქმული ფორვარდი, ყველაზე მჟღერალა ტიტულების მფლობელი. იგი პელეს, კრუიფის, ბეკენბაუერის პლეადას განეკუთვნება. „ბესტზე“ ისე დადიან, როგორც პოპულარულ მსახიობთა კონცერტებზე. ნებისმიერი გუნდის შემადგენლობაში მისი სახელის გამოჩენა სავსე ტრიბუნების გარანტიას იძლევა. როცა ბესტს უთანხმოება მოსდიოდა კლუბის მენეჯერებთან, მათი ურთიერთობის საკითხი პარლამენტში განიხილებოდა ხოლმე. თავის დროზე პრემიერ მინისტრი ჰაროლდ ვილსონი აღფრთოვანებულ წერილებს წერდა ბესტს. ჯორჯი არ პასუხობდა. ერთ კვირაში მისი ფოსტა 10 ათას წერილს შეადგენს. რას არ სთხოვდნენ: „ჯორჯ, მიშველეთ. ავად ვარ, თქვენი ერთი შეხებაც კი, დარწმუნებული ვარ, განმკურნავს“. „რამდენიმე წლის განმავლობაში, — მიყვებოდა ბესტი, — არ მინახავს არცერთი ფილმის არც თავი და არც ბოლო — მოვდიოდი, როცა სინათლე ჩამქრალი იყო და მივდიოდი, სანამ აინთებოდა. სხვაგვარად ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე, უზარმაზარი რიგი იჭიმებოდა ავტოგრაფებისთვის!“

ახლა, ოტელში, სადაც ინტერვიუსთვის მივედი, ჯორჯი უკვე ნახევარი საათია არიგებს ავტოგრაფებს — საქმიანად, მორჩილი და განწირული სახით.

წლები წლებს მისდევს, ბესტი კი საფეხბურთო აჟიოტაჟის ცენტრშია.

* * *

საფეხბურთო აჟიოტაჟი. სოციალური ფენომენი, რომელიც თანდათან სულ უფრო მკვეთრ გამოხატულებას იძენს. ახლახან დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს 500 მილიონი ტელემაყურებელი ჰყავდა. ბოლო წლებში არც ერთ მოვლენას არ შეუგროვებია ამოდენა აუდიტორია.

გლაზგოში იმ წუთებში შევედი მანქანით, როცა არგენტინაში დაიწყო შოტლანდიისა და პერუს ნაკრებთა მატჩი. ცარიელი ქუჩები, ცარიელი ავტობუსები. შაბათი დღეა, მაგრამ მაღაზიები, დუქნები, საცეკვაო დარბაზები დაკეტილია. არც კოკა-კოლასა და გაზეთების გამყიდველები ჩანან. სიჩუმეა, სწორედ ისეთი, ქარიშხლის წინ რომ იცის. და უცბად... ღრიალი, კვნესა და ღრჭენა ისმის რომელიღაც ლუდხანიდან. ვიცი რატომაც ღრიალებენ, კვნესიან — გოლი გაიტანეს. და, რა თქმა უნდა, შოტლანდიელებმა. ის მატჩი შოტლანდიამ მაინც წააგო. მეორე დღეს გაზეთები ასეთი სათაურებით გამოვიდა: „მეორედ მოსვლა!“ დამარცხებაზე წერდნენ, როგორც ეროვნულ დრამაზე. პრესის რეაქცია ირონიულად შეაფასა „გარდიანის“ მკითხველმა, გლაზგოელმა დ. მორისმა: „სპორტულობის კონცეფცია კარგა ხანია გაქრა. მის ნაცვლად XX საუკუნის სიგიჟე მოვიდა, რომელმაც წინა საუკუნის კოლონიალური ომები შეცვალა. დღეს წარმოუდგენელი და მიუღებელია, რომ 11 შოტლანდიელი დამარცხდეს ველურ პერუელებთან, სწორედ ისევე, როგორც ასი წლის წინათ იყო წარმოუდგენელი და მიუღებელი, რომ მამაც ბრიტანელთა ბატალიონი ინდიელთა ბრბოს გაენადგურებინა“.

მოგიკრავთ ყური, რომ ბალეტის პრემიერის ჩავარდნისთვის ვილაცას თავი მოეკლას? სტადიონების ტრიბუნებზე კი ყოველწლიურად ისვრიან. ესვრიან მათ, ვინც „სხვა“ გუნდს ექომაგება. ისვრიან სხვა მიზეზების გამოც. სამხრეთ საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში ქმარი უცქერდა ტელევიზორს. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს გადმოსცემდნენ. თამაშობდნენ ჰოლანდია და იტალია. ცოლმა რაღაც ჰკითხა, მას არ უპასუხნია. ქალი სამზარეულოში გავიდა, რათა, როგორც გაზეთები წერდნენ „ცოტათი დამშვიდებულიყო“. როცა დაბრუნდა მეუღლე სხვა მატჩს უყურებდა: ბრაზილია — პოლონეთს. არც ახლა პასუხობდა ცოლის შეკითხვებზე. მაშინ ცოლმა რევოლვერი ესროლა ქმარს...

ინგლისის დედოფალი ოფიციალური ვიზიტით იყო გფრ-ში. რეიხმარა. მაგრამ რა ვიცოდი მე ბესტის შესახებ? ნიჭიერია, ჭირვეული, ცვალებადი ხასიათისა და საქციელის... აი ერთი ფრაზაც, რომელიც მას ინტერვიუს ბოლოს წამოსცდა: „უკვე 30 წლისა ვარ, ბავშვები კი არა მყავს... ვთამაშობდი, ვმოგზაურობდი... ძალიან მიყვარს ბავშვები...“

* * *

სარეკლამო პლაკატებზე ბესტს გამარჯვებულის ღიმილი დასთამაშებს, მომთხოვნი გამომეტყველება აქვს: „იყიდე, იყიდე, რა დიდი საქმეა — ავტომობილი, ნაყინი, ტანსაცმელი...“ ბესტს, ჩემს წინ რომ ზის, ცისფერი თვალები აქვს, ბავშვური ნაკეცი უხეშ, გაუპარსავ ნიკაპზე. ქათქათა კბილები, თბილი ღიმილი. არავითარი პოზა, არავითარი სურვილი, რომ ხაზი გაესვას მის პოპულარობას.

მერე უცბად, სწორედ ისე, როგორც მინდორზე ცვლის ხოლმე რბენის მიმართულებას, შეცვალა საუბრის თემაც:

— ვნებები ფეხბურთის გარშემო... ეს ისტერიკად გადამდნარი, სახეცვლილი ფეხბურთის სიყვარულია. არადა ფეხბურთს მართლაც აქვს ისეთი რამ, რისთვისაც შეიძლება მისი სიყვარული, მისით აღფრთოვანება. საათნახევრის ორთაბრძოლა, სადაც მონაწილეობს ინტელექტი, ძალა, სისწრაფე. დღეს, როცა უშეცდომოდ გამოიცნობ ათიდან ცხრა ფილმის ბოლოს, როცა წიგნის რამდენიმე ფურცლის წაკითხვის შემდეგ ხვდები, საით მიჰყავხარ ავტორს, ფეხბურთი და საერთოდ სპორტი, უთუოდ გხიბლავს თავისი მოულოდნელობებით, მომხდარის ნატურალისტურობით. ჩვენს ყოფაში, სადაც ყველაფერი წინასწარ დაპროგრამებული და მოხაზულია, ფეხბურთი უთუოდ გამოირჩევა, ცალკე დგას... მიყვარს ფეხბურთი. 15 წლისა პროფესიულ კლუბში მიმიღეს. 17 წლისამ პირველ კონტრაქტს მოვაწერე ხელი. მას შემდეგ ვთამაშობ.

— არ მოგწყინდათ?

— არა. ახალგაზრდობაში სახელისთვის ვთამაშობდი, ახლა — იმიტომ, რომ მიყვარს ეს თამაში. იმიტომ, რომ პროფესიონალი ვარ, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვანაცვალე. ათასები, მილიონები ტკბებიან ამ თამაშით, კარგი თამაშით, რა თქმა უნდა. თუ ვგრძნობ მათს რეაქციას, თუ ვიცი, რომ მივანიჭე სიხარული, ბედნიერი ვარ, იმ მსახიობივით, რომელსაც დამსახურებული აპლოდისმენტები ხვდა წილად.

— ფეხბურთისა და სპექტაკლის, ფეხბურთელისა და მსახიობის შედარება ალბათ შემთხვევითი არ არის.

— რა თქმა უნდა, ფეხბურთში, სპორტში, არის ისეთი რაღაც, რაც მას ხელოვნებასთან ანათესავებს. დააკვირდით ნელა მატჩის ფირს, დააკვირდით ეპიზოდებს, რომლებშიც მონაწილეობენ, ვთქვათ, პელე ან კრუიფი და თქვენ დაინახავთ, რა პლასტიკურია მათი მოძრაობა, როგორი მოხდენილი და დახვეწილია მათი თამაში. გაიხსენეთ, საფეხბურთო მატჩები ხშირად დრამის ყველა კანონის მიხედვით ვითარდება — კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა. ისეც ხდება, რომ თამაში დეტექტური რომანის სიუჟეტს ემგვანება — შედეგი მოულოდნელია, თუმცა სავსებით შესაძლებელია მისი ახსნა.

— მაგრამ ხელოვნება სახეებს ჰქმნის, ეს მისი მთავარი თვისებაა.

— მერე და რა, დიდი სპორტსმენები არ ქმნიან სახეებს? მაყურებელთა თვალწინ ისინი თანდათან ძერწავენ უშიშარი, ძლიერი, კეთილშობილი ადამიანების სახეებს. ხასიათთა, ტემპერამენტთა შეჯახება ამოძრავებს საფეხბურთო მოქმედებას. დააკვირდით, ბევრ ფეხბურთელს საკუთარი ამპლუა აქვს. ერთნი წარბშეუხრელად მიილტვიან წინ, დარწმუნებულნი არიან, რომ გაიმარჯვებენ. მეორენი იდუმალად, მახვილგონივრულად მოქმედებენ, მესამენი ბოროტების განსახიერება არიან, ეგრეთ წოდებული ფეხთა მტვრევნი, ვიღაც სოლისტია, მაესტრო. ჩემთვის მინდორზე ყოფნა სცენაზე ყოფნაა. თითქმის ისევე მაინტერესებს როგორ თამაშობს კარგი ფეხბურთელი, როგორც საყვარელი მსახიობი.



სურათზე: ჯორჯ ბესტი.

(დასასრული იქნება)

## ფოტოთვალით განვლილ შეჯიბრებებზე



როგორც ვიტყობინებოდით, სექტემბრის სტარტზე პრაღაში გამართულ ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზეს სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა, რომლებმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტი მედლები მოაგროვეს და პირველობა მოიპოვეს.

ევროპის ჩემპიონატის გმირთა შორის იყვნენ სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო, რომელმაც ოქროს მედალი მოიგო და ვ. ბარდაუსკენე. ამ სპორტსმენმა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში თავისივე მსოფლიო რეკორდი (707 სმ) 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა, ხოლო შემდეგ ჩემპიონის „ოქროსაც" დაეპატრონა.

* * *

სურათზე: ვ. იაშჩენკო (მარცხნივ) და ვ. ბარდაუსკენე.



საშვეულმფრენო სპორტში მსოფლიოს მესამე ჩემპიონატში, რომელიც ვიტებსკში გაიმართა, მონაწილეობდნენ აშშ-ს, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები.

აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ მასპინძლები — საბჭოთა გუნდის წევრები ლუბა პრიხოდკო და ვ. სმირნოვი, რამაც საერთო გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვება უზრუნველყო.

სურათებზე: შეჯიბრების მომენტი საშვეულმფრენო სლალომში; შეჯიბრების გახსნისადმი მიძღვნილი საავიაციო დღესასწაულის მომენტი; ლ. პრიხოდკო და ვ. სმირნოვი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

# თედიაშვილი ახალ „ამპლუაში"

კიევში დამთავრდა „დინამოს" მონათესავე სოციალისტური ქვეყნების სპორტსაზოგადოებების სპორტსმენთა ასპარეზობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობის სამძაფრეზე ისიც მეტყველებს, რომ ბევრმა სახელოვანმა ათლეტმა ვერ შეძლო ახალგაზრდებთან გამკლავება. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატის „ვერცხლის" პრიზიორი კლასიკურ ჭიდაობაში, რუმინელი ნ. ჯინგა (52 კგ) დამარცხდა ახალგაზრდა საბჭოთა მოჭიდავე რ. ზაქიროვთან, ხოლო სახელგანთქმულ ვ. რეზანცევს აჯობა უნგრელმა ნ. ნევენიმ. ვერც ცნობილი ბულგარელი მოჭიდავე ა. ტომოვი გახდა ლაურეატი.

თავისუფალ ჭიდაობაში ყველა მოლოდინს გადააჭარბა სახელოვანმა ქართველმა ფალავანმა ლ. თედიაშვილმა. ჭიდაობის მოყვარუ[illegible] რომ ლევანი XX ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონი გახდა 82 კგ წონით კატეგორიაში, მონრეალში კი პირველი იყო მომდევნო წონაში (90 კგ), ხოლო ევროპის ჩემპიონი და მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის „ვერცხლის" პრიზიორი გახდა 100 კგ წონით კატეგორიაში.

და აი, კიევში გუნდის ინტერესებისთვის თედიაშვილი მძიმე წონაში გამოდიოდა და მისი დებიუტი ახალ ამპლუაში იღბლიანი გამოდგა. ლევანმა ყველა შეხვედრა ვადამდე ადრე დაამთავრა და ჩემპიონი გახდა.

საერთოდ ჩვენმა ფალავნებმა დიდი წარმატება მოიპოვეს, თავისუფალ ჭიდაობაში — 8, ხოლო კლასიკურში 7 ოქროს მედალი მოიხვეჭეს.

## ჭადრაკი

### 21-ე ყაიმი

10 ოქტომბერს ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში 30-ე პარტია გათამაშდა.

მსოფლიო ჩემპიონმა ინგლისური დასაწყისი აირჩია, მაგრამ პრეტენდენტმა განავითარა ფიგურები გრიუნფელდის დაცვის სქემის მიხედვით. გაჩაღდა მანევრული თამაში. მსუბუქი ფიგურების გაცვლას, 25-ე სვლაზე ლაზიერების გაცვლა მოჰყვა. პარტია გადავიდა თანაბარ ენდშპილში. მერე თამაში ეტლების დაბოლოებაში გაგრძელდა და 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

აი, პარტიაც:

**კარპოვი — კორჩნოი**

ინგლისური დასაწყისი

1. c4 მf6 2. მc3 d5 3. cd მ:d5 4. g3 g6 5. კg2 მ:c3 6bc კg7 7. მf3 0-0 8. 0-0 c5 9. ეb1 მc6 10. ლa4 მa5 11. d3 b6 12. ლh4 კb7 13. კh6 კ:h6 14. ლ:h6 კ:f3 15. კ:f3 ეc8 16. კg2 ლd7 17. ეbc1 b5 18. ეb1 ეb8 19. ლe3 ლd6 20. ეfd1 a6 21. ეd2 ეfc8 22. ეdb2 მc6 23. ლd2 მe5 24. ლf4 მd7 25. ლ:d6 ed 26. კh3 ეd8 27. a4 ba 28. კ:d7 ე:b2 29. ე:b2 ე:d7 30. ეa2 მფf8 31. ე:a4 ეa7 32. მფf1 მფe7 33. მფe1 მფd7 34. მფd2 h5 35. მფc2 ეa8 36. ეf4 მფe6 37. h4 ეb8 38. ეe4+ მფd7 39. ეa4 ეa8 40. ეf4 მფe6 41. ეc4 ეa7.

პარტია გადაიდო.

გუშინ მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად მატჩის ანგარიშია 5:4 (21 ყაიმი) ა. კარპოვის სასარგებლოდ.

31-ე პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

### დაწინაურდა სემიონოვა

ნიკოლაევი, 11 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალში შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

აი, პირველ ექვს ტურში გადადებული პარტიების შედეგები: ნ. გურიელმა მოუგო ლ. ზაიცევას (მოსკოვი), ლ. სემიონოვამ (კიევი) — ტ. ვორონოვას (ნაბერეჟნიე ჩელნი), თ. ჩეხოვამ (მოსკოვი) — გურიელს, სემიონოვამ — ტ. ზატულოვსკაიას, ლ. ზაიცევამ (ორივე — მოსკოვი) — სემიონოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ ჩეხოვა — ლ. პოლნარევა (ლენინგრადი), თ. პედკო (ჩელიაბინსკი) — თ. ხუგაშვილი, ვ. სტერნინა (მოსკოვი) — ი. ერუსლანოვა (ვორონეჟი), პოლნარევა — ზაიცევა და ჩეხოვა — ზაიცევა. ორი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ლ. სემიონოვა — 5 ქულა, ი. ლევიტინა — 4,5, თ. ხუგაშვილი, ე. ფატალიბეკოვა, ლ. ლისენკო — 4-4, ნ. გურიელს 3 ქულა აქვს, მ. წერეთელს — 1,5.

ვ. მაჭავარიანი.

## კრივი

კუბელმა მოკრივეებმა დამაჯერებელი გამარჯვებით — 8:3 დაამთავრეს მატჩი აშშ-ს ნაკრებთან, რომელიც „მედისონ სკვერ გარდენის" დარბაზში ტარდებოდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მძიმეწონოსანი მოკრივეების, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის თეოფილ სტივენსონისა და ამერიკელი ჯიმ კლარკის შეხვედრამ. კლარკმა სამივე რაუნდი საკმაო უპირატესობით ჩაატარა, მაგრამ ორთაბრძოლის დამთავრებამდე 39 წამით ადრე სტივენსონმა ნოკდაუნში გაგზავნა იგი, რამდენიმე წამის შემდეგ კი ნოკაუტიც აგემა.

# კვლავ „იუგოსლავიური ბარიერი"

## კალათბურთი

საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატში პირველი მარცხი განიცადა. იგი ანგარიშით 92:105 დამარცხდა თავის ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან, იუგოსლავიელ კალათბურთელებთან.

მთელი პირველი ტაიმი და მეორე ტაიმის დასაწყისი დაახლოებით თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო მნიშვნელოვნად დაწინაურება. ორივე ფართან კარგად მოქმედებდა სსრ კავშირის ნაკრების „გიგანტი" ტკაჩენკო (220 სმ), რომელმაც საბოლოოდ გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინა (24).

იუგოსლაველებმა გასაქანი არ მისცეს გუნდის მთავარ ბომბარდირებს ბელოვსა და სალნიკოვს. შესაბამისად მათ თავიანთ აქტივში შესაბამისად 2 და 11 ქულა ჩაიწერეს. სამაგიეროდ საბჭოთა კალათბურთელებმა ვერა და ვერ გადაწყვიტეს დალიპაგიჩისა და კიჩანოვიჩის პრობლემა. მათ ანგარიშზეა 37 და 34 ქულა. თანაც კიჩანოვიჩმა 23 ქულა თავის კოლექტივს შესვენების შემდეგ მოუტანა. სწორედ ამ ორი კალათბურთელის დამსახურება იყო, რომ მეორე ტაიმში იუგოსლავიის ნაკრები 10 ქულით დაწინაურდა. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი ევროპის ჩემპიონები უკვე 16 ქულას იგებდნენ (99:83).

ამავე დღეს მესამე მარცხი განიცადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა აშშ-ს ნაკრებმა. ბრაზილიელებმა კვლავ კარგად ითამაშეს მატჩის დასკვნითი ნაწილი და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 92:90. ამერიკელ კალათბურთელთა შორის ყველაზე შედეგიანი სოუზა გამოდგა (29).

ჩემპიონატში პირველი ქულა მოიპოვეს კანადელებმა, რომლებმაც ანგარიშით 91:79 (44:28) დაამარცხეს ავსტრალიელები. იტალიის ნაკრებმა მოუგო ფილიპინელ სპორტსმენებს — 112:75 (54:31).

ტურნირს ახლა ორი ლიდერი ჰყავს — იუგოსლავიისა და ბრაზილიის გუნდები (თითოეულს 5 გამარჯვება).

## წყალზე რეაქტიული სისწრაფით

ავსტრალიის ქალაქ ტუმუტის (ახალი სამხრეთ უელსის შტატი) მახლობლად, ბლაუერინგის წყალსაცავზე ამ ქვეყნის მკვიდრმა კ. უორბიმ რეაქტიულ ძრავიანი კატერით წყალზე სისწრაფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა — საათში 510 კმ, 452 მეტრის სისწრაფე აჩვენა. ეს შედეგი მის ძველ მიღწევას საგრძნობლად აღემატება.

39 წლის კ. უორბის განზრახული აქვს ახლო მომავალში თავისი ორტონიანი კატერი ევროპაში გადაიტანოს და ინგლისში, კონისტონის ტბაზე, სადაც 11 წლის უკან სისწრაფის მსოფლიო რეკორდის დამყარების ცდის დროს დაიღუპა ცნობილი ინგლისელი დ. კემპბელი, ახალი რეკორდი დაამყაროს.

## „ოქრო" ბატუტზე

3 ოქროს, 2 ვერცხლის და [illegible] დენივე ბრინჯაოს მედალი მოიპო[illegible] ვეს საბჭოთა სპორტსმენებმა მსო[illegible] ფლიოს ჩემპიონატში ბატუტზე.

განსაკუთრებით ისახელა თა[illegible] მსოფლიოს ჩემპიონმა, კრასნოდ[illegible] რელმა ევგენი იანესმა. მან ო[illegible] „ოქრო" მოიპოვა: ერთი — ინდ[illegible] ვიდუალურ, მეორე — სინქრო[illegible] ნულ ხტომებში დნეპროპეტროვ[illegible] კელ ვლადიმერ ჟადიაევთან ე[illegible] თად. კარგად გამოვიდნენ ინდი[illegible] დუალურ ხტომებში საბჭოთა [illegible] ლებიც: მათ ყველა საპრიზო ად[illegible] ლი დაისაკუთრეს. ჩემპიონი გ[illegible] და სვერდლოვსკელი ტატიანა ა[illegible] სიმოვა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-[illegible] მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.